სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქე მანანა ჭელიშვილისათვის, მატერიალური დახმარების შესახებ

ქ.ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ქ.ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N41–ში მცხოვრები მოქალაქე მანანა ჭელიშვილის /2011 წლის 12 ოქტომბრის Nჭ–8119/ განცხადება, რომელიც ეხება ძლიერი წვიმის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მატერიალური დახმარების გაწევის საკითხს. ოჯახის ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოქალაქე მანანა ჭელიშვილს გაეწიოს მატერიალური დახმარება 300 ლარის რაოდენობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და ქ.ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის 14 დეკემბრის N125 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N41–ში მცხოვრებ მოქალაქე მანანა ჭელიშვილს, ქ.ქუთაისის მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს მატერიალური დახმარება 300 /სამასი/ ლარი.
2. ქ.ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურმა /თ.ცაგარეიშვილი/ უზრუნველყოს მოქალაქე მანანა ჭელიშვილისათვის თანხის 300 /სამასი/ ლარის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　გ.თევდორაძე